<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აპრილი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა ცინცაძის I შესახვევის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მამუკა ნოზაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, შალვა ცინცაძის I შესახვევის მონაკვეთს და მასთან არსებულ ორ ჩიხს მიენიჭოს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მამუკა ნოზაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ამ ამონაწერი ფასდებოდა

მამუკა ნოზაძე

(1967-1989)

სტუდენტი, 9 აპრილის ტრაგედიის გმირი , გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდა წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით.

მამუკა ნოზაძე დაიბადა 1967 წლის 31 ივლისს ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარსუბანში. 1984 წელს დაამთავრა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარსუბნის საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო სოფელ ვარდისუბნის საკონსერვო ქარხანაში. 1986 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში ქალაქ ჩიტაში. 1988 წელს, სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის საფინანსო-ეკონომიკურ ტექნიკუმში.

1989 წლის 9 აპრილს ტრაგიკულად დაიღუპა თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართული საპროტესტო დემონსტრაციის დარბევის დროს. დაკრძალეს 15 აპრილს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარსუბანში.

2014 წლის 9 აპრილს, ტრაგიკული მოვლენებიდან 25 წლის თავზე საქართველოს პრეზიდენტმა ოჯახის წევრებს წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი გადასცა.

მამუკა ნოზაძის სახსოვრად ლაგოდეხში ყოველ 9 აპრილს შეჯიბრება იმართება, მამუკაობა.

სოფელ კართუბნის ერთ-ერთი ქუჩა ატარებს მის სახელს.